პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

19
ივლისი
ოთხშაბათი,
1961 წ.
№ 102 (1738)
გამოცემის მე-17 წელი.
ფასი 3 კაპ.

გუშინ, თბილისის სპორტის სასახლეში, შედგა საერთაშორისო შეხვედრა ძალოსნობაში. ფიცარნაგზე ერთმანეთს ცვლიდნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერესი ძალოსნები. გამარჯვება ამჯერადაც დარჩათ საბჭოთა სპორტსმენებს ანგარიშით 4:3.

ეს ამერიკის შეერთებული შტატების ძალოსანთა მეოთხე დამარცხებაა.

სურათებზე: მარცხნივ — ი. ბერგერი და რ. ჩიმიშკიანი (მარჯვნიდან). მარჯვნივ — სსრ კავშირისა და აშშ-ს ძალოსნები თბილისის ზღვაზე.

ფოტო ა. ვართანოვისა.

შეჯიბრების დაწერილებითი ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

მსოფლიო პირველობაზე

სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაში მონაწილეობისათვის ჰელსინკს გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან ბაქოელი ვ. ბაგიროვი, როსტოველი ბ. ხოდოსი, კიეველი ე. გუფელდი და ლვოველი ლ. შტეინი.

საბჭოთა გროსმაისტერთა გამარჯვება

მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაში საბჭოთა გუნდის გამარჯვების შემდეგ გროსმაისტერები ვ. სმისლოვი და მ. ტაიმანოვი მიწვეულ იქნენ დორტმუნდის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობისათვის.

მ. ტაიმანოვმა ძლიერად ჩაატარა ყველა პარტია, 11 შესაძლებლიდან მოაგროვა 8 ქულა და დაიკავა პირველი ადგილი. II-III ადგილები გაიყვეს ვ. სმისლოვმა და იუგოსლაველმა ა. უდოვჩიჩმა (7-7 ქულა).

ტალი — უძლიერესი

მოსკოვში გაიმართა დედაქალაქის პირველობა ელვისებურ ტურნირში. გამარჯვებისათვის იბრძოდა 20 მოჭადრაკე, რომელთა შორის კონკურსგარეშე გამოდიოდა მსოფლიო ექს-ჩემპიონი გროსმაისტერი მ. ტალი. მან მხოლოდ ერთი პარტია წააგო, სამი ყაიმით დაამთავრა, მოაგროვა 16,5 ქულა და გაიმარჯვა. მოსკოვის ჩემპიონი გახდა ე. ვასიუკოვი — 15 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი.

ორი ჯილდო მასპინძლებს

ლენინგრადში დამთავრდა სსრ კავშირის 1961 წლის პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების გუნდები.

შეჯიბრებებში წარმატებით გამოვიდნენ ლენინის ქალაქის სპორტსმენები, რომლებმაც როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის მოიპოვეს გარდამავალი ჯილდოები.



სსრ კავშირისა და ამერიკის მძლეოსანთა მატჩზე ურის ტყორცნაში გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. რუდენკოვმა.

• • •

სურათზე: ვ. რუდენკოვი შეჯიბრების დროს.

ფოტო ე. დავთიანისა.

⚽

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 19 ივლისისათვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	14	11	1	2	32:17	23
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	16	7	6	3	28:22	20
„დინამო“ (თბილისი)	15	8	3	4	26:15	19
„პეტროვარდი“ (ხარკოვი)	15	7	5	3	14:10	19
სკა (როსტოვი)	15	8	2	5	31:15	18
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	15	4	7	4	15:15	15
„შახტიორი“ (სტალინო)	16	5	5	6	14:16	15
„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)	16	5	3	8	15:21	13
„დაუგავა“ (რიგა)	17	3	5	9	19:33	11
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	16	3	4	9	14:26	10
„სპარტაკი“ (ვილნიუსი)	15	1	5	9	13:31	7

II ჯგუფი

„დინამო“ (კიევი)	15	10	3	2	32:11	23
სკა	15	10	2	3	44:22	22
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	15	7	4	4	23:13	18
„პატარა“ (ტაშკენტი)	16	7	4	5	25:29	18
„დინამო“ (მოსკოვი)	17	6	5	6	25:26	17
„სპარტაკი“ (ერევანი)	15	5	6	4	22:23	16
„კაირატი“ (ალმა-ატა)	15	5	5	5	18:21	15
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	16	5	5	6	18:23	15
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	17	5	4	8	28:32	14
„ბელარუსი“ (მინსკი)	16	2	5	9	13:24	9
„კალევი“ (ტალინი)	15	0	5	10	10:34	5

• • •

• • •

გუშინ შედგა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. I ჯგუფში ერთმანეთს შეხვდნენ „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)- „დაუგავა“ (რიგა). მატჩის შედეგი ფრე — 1:1.

II ჯგუფში თამაშობდნენ „დინამო“ (მოსკოვი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი). მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 5:2.

ასეთია საქართველოს პროფკავშირთა III სპარტაკიადის შედეგები

ვოლეიბოლი — „განთიადი“, „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“

კრივი — „სპარტაკი“, „ბურევესტნიკი“, „განთიადი“.

თავისუფალი ჭიდაობა — „ბურევესტნიკი“, „განთიადი“, „სპარტაკი“.

კლასიკური ჭიდაობა — „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „განთიადი“.

ქართული ჭიდაობა — „ბურევესტნიკი“, „განთიადი“, „სპარტაკი“.

შტანგა — „განთიადი“, „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“.

მძლეოსნობა — „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“.

ცურვა — „ბურევესტნიკი“, „განთიადი“, „სპარტაკი“.

წყალში ხტომა — „განთიადი“, „ლოკომოტივი“, „ბურევესტნიკი“.

ნიჩბოსნობა — „განთიადი“, „ბურევესტნიკი“, (მესამე ადგილი არ გათამაშებულა).

ტანვარჯიში — „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „განთიადი“.

ფრენბურთი (ვაჟები) — „ბურევესტნიკი“, „განთიადი“, „ლოკომოტივი“.

(ქალები) — „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „განთიადი“.

კალათბურთი (ვაჟები) — „ბურევესტნიკი“ „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“.

(ქალები) — „ბურევესტნიკი“, „ლოკომოტივი“, „განთიადი“.

კომპლექსური ჩათვლა — „ბურევესტნიკი“, „განთიადი“, „სპარტაკი“.

ვინ გაიმარჯვა ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრებაში?

მძლეოსნობა — „ისანი“, ქუთაისის მექანიკური ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

შტანგა — „გამარჯვება“, ქუთაისის ავტოქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

ცურვა — ორთქლმავალ-ვაგონშენ მკეთებელი ქარხანა, სოხუმის ტყავკომბინატი, ბათუმის გემთშემკეთებელი ქარხანა.

ტანვარჯიში — თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველო, ქუთაისის ტყავკომბინატი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

ვოლეიბოლი — „ისანი“, სამშენებლო ტრესტი № 6 (სოხუმი), ბათუმის მე-5 სამკერვალო ფაბრიკა.

ლენინგრადის ტრეკზე

საკავშირო პირველობა ტრეკზე რბოლაში ჩატარდა ლენინგრადში, ქალთა ინდივიდუალურ რბოლაში 3 კილომეტრზე გამოდევნებით ვ. სავინამ ფინალში დაამარცხა მოსკოველი ლ. ეოგინა და მოიპოვა ჩემპიონობა. გამარჯვებულის დროა 4.16,6 წ. ვაჟთა გუნდურ რბოლაში გამოდევნებით 4 კილომეტრზე ლატვიელებმა აჩვენეს 4.47,9 და 0,1 წამით აჯობეს მოსკოველ ველოსიპედისტებს.

სპრინტერულ დისტანციაზე ვაჟთა შორის უძლიერესი იყო რიგელი ი. ბოდნიეკსი, რომელმაც ტულელ ვ. ლეონოვთან ფინალურ ბრძოლაში აჩვენა 12,6 წ (200 მეტრზე) და გაიმარჯვა. ქალთა შორის უძლიერესი იყო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გ. ერმოლაევა (მოსკოვი). გამარჯვებულთაგან დაკომპლექტდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მორიგ მსოფლიო პირველობაში.

ორი რეკორდი ერთ რგოლაში

გლუხოვის სამმაგეულის კომბინატის ტრეკზე დამთავრდა ველოსიპედისტთა საკავშირო პირველობა სალიდერო რბოლაში. არმიელმა ნ. კობზევმა (ლიდერი ვ. დომბროვსკი) 50-კილომეტრიანი დისტანცია განვლო 41.51,2-ში და დაამყარა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი. მათვე გააუმჯობესეს საკავშირო რეკორდი 1-საათიან რბოლაში — 71,1 კმ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ცსკა-ს ველოსიპედისტებმა. მომდევნო ადგილზე არიან — „დინამოსა“ და „სპარტაკის“ გუნდები.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

1961-1964 წლებისათვის

★ ★ ★

სათანრიგო მოთხოვნები

საბჭოთა კავშირის გროსმეისტერი — დაიკავოს პირველი ადგილი მსოფლიო პირველობაზე საერთაშორისო შაშში,

ან

საბჭოთა კავშირის ოთხ მორიგ პირველობაზე რუსულ შაშში დაიკავოს პირველი ადგილი ორჯერ.

თანრიგის დასამტკიცებლად—საბჭოთა კავშირის პირველობაზე საერთაშორისო შაშში ხუთი წლის განმავლობაში დაიკავოს მე-2-3 ადგილი ან შეასრულოს ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მოთხოვნათაგანი.

სპორტის ოსტატი — ნახევარფინალურ შეჯიბრებებში, რომლებშიც მონაწილეობს ოსტატთა არანაკლებ 50 პროცენტისა, მოიპოვოს საბჭოთა კავშირის ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება,

ან

შეასრულოს ნორმატივი საკლასიფიკაციო შეჯიბრებებში, რომლებშიც მონაწილეობს ოსტატთა არანაკლებ 50 პროცენტისა, ხოლო დანარჩენები არიან ოსტატობის კანდიდატები (წრიული სისტემის დროს ტურნირში უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ 14 სპორტსმენისა, მათ შორის არანაკლებ 8 ოსტატისა); მატჩ-ტურნირის ორ წრედ ჩატარებისას ოსტატები და კანდიდატები უნდა იყვნენ არანაკლებ 7-7 კაცისა,

ან

დაიკავოს პირველი ადგილი უძლიერეს ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო პირველობაზე,

ან

მოუგოს საკლასიფიკაციო მატჩი 14 პარტიიდან სპორტის ოსტატს.

შენიშვნა: ნორმატივი ტურნირებში სპორტის ოსტატის წოდების მინიჭებისათვის: სპორტის ოსტატებთან შეხვედრებში, რომლებსაც დამტკიცებული აქვთ თავისი წოდება, დაგროვოს ქულათა 50 პროცენტი, ხოლო ოსტატობის კანდიდატებთან შეხვედრებში ქულათა 67 პროცენტი.

თანრიგის დასამტკიცებლად — დაგროვოს ერთი ქულით ნაკლები.

მატჩ-ტურნირში სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად ოსტატობის კანდიდატმა უნდა დაგროვოს ქულათა არანაკლებ 50 პროცენტისა სპორტის ოსტატებთან შეხვედრებში, რომლებსაც დამტკიცებული აქვთ თავისი თანრიგი.

სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად საკავშირო მნიშვნელობის გუნდურ შეჯიბრებებში ითამაშოს არანაკლებ 10 პარტიისა.

თანრიგის დასამტკიცებლად — სამი წლის განმავლობაში დაამტკიცოს სპორტული თანრიგი. ოსტატი, რომელიც ვერ შეასრულებს ამ მოთხოვნას, კარგავს თავის სპორტულ უფლებებს.

ნორმატივი დამტკიცებისათვის ერთი ქულით ნაკლებია, ვიდრე ოსტატობის წოდების მიღებისათვის.

სპორტის ოსტატი (ქალები) — მოიპოვოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ან მორიგ სამ საკავშირო პირველობაზე ორჯერ დაიკავოს არანაკლებ მესამე ადგილისა.

თანრიგის დასამტკიცებლად — სამი მორიგი საკავშირო პირველობიდან დაიკავოს ერთხელ არანაკლებ მესამე ადგილისა.

ოსტატობის კანდიდატი — ენიჭებათ სამი წლის ვადით უძლიერეს პირველთანრიგოსნებს, რომლებსაც შესრულებული აქვთ საკანდიდატო ბალების მისაღები ნორმატივები არაუმეტეს 1 კოეფიციენტით სამ ტურნირში (უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ 11 სპორტსმენისა).

შენიშვნა: საკანდიდატო ბალისა და „ოსტატობის კანდიდატის“ თანრიგის მისაღებად საჭიროა დაგროვოს ქულათა 33 პროცენტი სპორტის ოსტატებთან შეხვედრებში, 50 პროცენტი ოსტატობის კანდიდატებთან შეხვედრებში და 67 პროცენტი პირველთანრიგოსნებთან შეხვედრებში.

პირველი თანრიგის დასამტკიცებელი ნორმატივის შეუსრულებლობისათვის სპორტსმენს ეხსნება ერთი საკანდიდატო ბალი.

I და II თანრიგები — საკლასიფიკაციო ტურნირებში ამ თანრიგების მისაღები ნორმატივი უდრის ქულათა 67 პროცენტს.

III თანრიგი — IV თანრიგის მოშაშეთა ტურნირში დაგროვოს ქულათა არანაკლებ 67 პროცენტისა.

IV თანრიგი — ენიჭებათ მოშაშეებს, რომლებიც უკოეფიციენტო ტურნირში დაგროვებენ ქულათა 67 პროცენტს.

I, II და III თანრიგების დასამტკიცებლად — დაგროვოს ქულათა 50 პროცენტი შესაბამისი თანრიგის ტურნირში.

ჭაბუკთა I თანრიგი — ენიჭებათ ჭაბუკთა შეჯიბრებებში გამარჯვებულებს (12-დან 16 წლამდე), რომლებიც ახალბედათა ტურნირში დააგროვებენ ქულათა 67 პროცენტს.

ჭაბუკთა I თანრიგის კუთვნილება III თანრიგის მისაღებ ტურნირში მონაწილეობის უფლებას იძლევა.

შენიშვნა: I, II და III თანრიგის ტურნირების ორ წრედ ჩატარება შეიძლება 6 ან მეტი სპორტსმენის მონაწილეობის დროს.

თანრიგის (I თანრიგის ჩათვლით) მისაღებად გუნდურ შეჯიბრებებში საჭიროა თამაში არანაკლებ 5 პარტიისა, ტურნირებში არანაკლებ 10 პარტიისა.

I და II თანრიგის მოშაშეებს, რომლებიც ტურნირში ვერ შეასრულებენ თავისი თანრიგის დასამტკიცებელ ნორმატივს, ეწერებათ „წარუმატებლობა“.

ზედიზედ სამჯერ „წარუმატებლობის“ მიღებისათვის სპორტსმენი გადაყვანილი იქნება ერთი საფეხურით დაბალ თანრიგში.

ტურნირებში, რომლებშიც მონაწილეობენ სხვადასხვა თანრიგის მოშაშეები, საკლასიფიკაციო ნორმატივები დგება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ᲨᲐᲨᲘ

ტურნირის საშუალო კოეფიციენტის განსაზღვრისას ჭაბუკთა და IV თანრიგის მოშაშეებს ენიჭებათ თანრიგის მაჩვენებლად 4, III თანრიგის მოშაშეებს — 3, II — 2, I — 1, ოსტატობის კანდიდატებს — 0,5, სპორტის ოსტატებს — 0.

სათანრიგო მოთხოვნები საშაშო კომპოზიციაში

სპორტის ოსტატი — დაიკავოს პირველი ადგილი მოშაშე კომპოზიტორთა საკავშირო პირველობაზე,

ან

დაგროვოს 24 ბალი საშაშო კომპოზიციის შედგენის საკავშირო კონკურსებში. ბალების გამოთვლა წარმოებს შემდეგი ცხრილით (იხ. ცხრილი № 2).

შენიშვნა: 1. ბალები ითვლება მხოლოდ იმ ამოცანებზე, ეტიუდებსა და დაბოლოებებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ „შაშინის სკოლის“ მოთხოვნებს.

2. ოსტატობის ნორმატივისათვის ითვლება ბალები არანაკლებ მესამე ადგილისა საკავშირო კონკურსებში და არანაკლებ მეხუთე ადგილისა პირველობებზე.

3. ბალები ძალაშია ხუთი წლის განმავლობაში მათი მინიჭების დღიდან.

სპორტის ოსტატის წოდება ენიჭებათ ძირითად ან კომპოზიტორებს, რომლებიც იყო ორჯერ საკავშირო პირველობის ან ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ თანრიგისა შაშში.

I თანრიგი — დაგროვოს კონკურსებში არანაკლებ 12 ბალისა და ჰქონდეს არანაკლებ მეორე სპორტული თანრიგისა შაშში.

II თანრიგი — დაგროვოს კონკურსებში არანაკლებ 6 ბალისა და ჰქონდეს არანაკლებ მესამე სპორტული თანრიგისა შაშში.

III თანრიგი — დაიკავოს არანაკლებ მესამე ადგილისა რესპუბლიკური მნიშვნელობის კონკურსებზე ერთხელ მაინც ან პირველი ადგილი ორჯერ საოლქო მნიშვნელობის კონკურსებზე.

დამატებითი მითითებანი და მოთხოვნები

1. კონკურსები არანაკლებ რესპუბლიკური მნიშვნელობისა ტარდება აუცილებელი ექსპერტიზით; იყო თუ არა საკონკურსო ნაწარმოები ადრე გამოქვეყნებული და აკმაყოფილებს თუ არა იგი ერთიანი გადაწყვეტილების მოთხოვნებს. ექსპერტიზა ხორციელდება საბჭოთა კავშირის საშაშო ფედერაციასთან არსებული საშაშო კომპოზიციის კომისიის მიერ.

2. თანრიგები კომპოზიციაში დამტკიცებას არ საჭიროებენ.

ცხრილი № 1

პირველი განაყოფი				მეორე განაყოფი			
ნორმატივი I, II, III თანრიგის მისაღებად (%-ში)	ტურნირის საშუალო კოეფიციენტი		ნორმატივი II, III IV თანრიგის დამტკიცებისათვის (%-ში)	ნორმატივი IV თანრიგის მისაღებად (%-ში)	ტურნირის საშუალო კოეფიციენტი		ნორმატივი V თანრიგის მისაღებად (%-ში)
	დან	მდე			დან	მდე	
50	1,00	1,00	30	50	4,00	4,00	30
53	1,01	1,10	32	52	4,01	4,10	31
55	1,11	1,20	34	53	4,11	4,20	32
58	1,21	1,30	36	55	4,21	4,30	33
60	1,31	1,40	38	57	4,31	4,40	34
63	1,41	1,50	40	58	4,41	4,50	35
65	1,51	1,60	42	60	4,51	4,60	36
68	1,61	1,70	44	62	4,61	4,70	37
70	1,71	1,80	46	63	4,71	4,80	38
73	1,81	1,90	48	65	4,81	4,90	39
75	1,91	2,00	50	67	4,91	5,00	40

ცხრილი № 2

შეჯიბრების სახე	შეჯიბრებაზე დაკავებული ადგილები					
	1-ლი	მე-2	მე-3	მე-4	მე-5	მე-6
საკავშირო პირველობა . . .	24 ბალი	20 ბალი	16 ბალი	12 ბალი	8 ბალი	4 ბალი
საკავშირო კონკურსი . . .	6 „	5 „	4 „	3 „	2 „	1 „
რესპუბლიკური კონკურსი . .	3 „	2 „	1 „	—	—	—

ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔ

ოჩამჩირეში, იქ სადაც მდინარე ღალიძგა უერთდება შავ ზღვას, ქართული სკოლის მარადმწვანე ეზოში მოწყობილია ტყვარჩელელ მეშახტეთა პიონერთა ბანაკი.

დილაადრიან იღვიძებს ბანაკი. გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ იწყება საინტერესო საბანაკო ცხოვრება: ერთი ჯგუფი კოლმეურნეობისაკენ მიიჩქარის, რათა მეჩაიეებს ამოუდგეს მხარში და დაეხმაროს მათ, ხოლო მეორე სათევზაოდ მიემართება. ზოგიც ბანაკში რჩება და სპორტულ მოედნებზე ატარებს წვრთნას.

დღის რეჟიმის ყველაზე საინტერესო დრო პიონერებისათვის 11 საათია. პირველ საათამდე ბავშვები ცურავენ ზღვაში, მზის აბაზანებს ღებულობენ, ვარჯიშობენ წყალში ხტომასა და ნაოსნობაში.

პიონერთა ბანაკში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სპორტულ თამაშობებს. საინტერესო შეჯიბრება გაიმართა ნავსადგურის ნუშაკთა ბავშვებთან, ოჩამჩირის სპორტსკოლისა და ქალაქის ახალგაზრდულ გუნდებთან ჭადრაკში, ფრენბურთსა და კალათბურთში. გამარჯვება ტყვარჩელელ მეშახტეთა შვილებს დარჩათ.

ნ. ᲛᲘᲥᲐᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲒᲣᲚᲠᲘᲤᲨᲘ

გულრიფშის ვ. ი. ლენინის სახელობის სანატორიუმში ყოველწლიურად ისვენებს 2000-ზე მეტი კაცი. დამსვენებლებთან საუკეთესოდაა დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა. სანატორიუმში ჩამოყალიბებულია ჭადრაკის, ფრენბურთის, კალათბურთის და სხვა წრეები.

რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა შეჯიბრება ჭადრაკში. პირველი ადგილი დაიკავა პირველთანრიგოსანმა ვ. მეტრეველმა, მეორე—ა. ხუხუნაიშვილმა, ხოლო მესამე—დ. ჩხაიძემ.

ფიზკულტურულ წრეებს ხელმძღვანელობენ ა. ჯაფარიძე, დ. ქელეხსაევი და ზ. კერესელიძე.

ი. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ,
Ძ. ᲭᲐᲠᲐᲘᲐ.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ

დამთავრდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ სამტრედიის რაისაბჭოს თასის გათამაშება ფრენბურთში.

მონაწილე გუნდებიდან თავიდანვე ინიციატივა ჰქონდათ გასული წლის თასის მფლობელებს — მექანიკური და ხის გადამმუშავებელი სახელოსნოს ფრენბურთელებს, რომლებმაც შეჯიბრება წაუგებლად ჩაატარეს და მეორედ მოიპოვეს რაისაბჭოს გარდამავალი თასი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ნაფაღაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფრენბურთელები.

Ჯ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

ᲡᲝᲩᲮᲣᲛᲘ

მომზადებული შეხვდა ტურისტულ სეზონს სოხუმის ბაზა — „სინოპი“. აიგო სასადილოს კაპიტალური შენობა, კეთილმოწყობილია ეზო, გაშენდა ახალი ბაღი.

ბაზა მომსახურეობას უწევს რამდენიმე ტურისტული მარშრუტის მონაწილეებს. აქ ყოველდღიურად ისვენებს 450 კაცი, იმართება სპორტული შეჯიბრებები.

ნ. ᲛᲘᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ჩოხატაურის ნაკრებისა და ქობულეთის რაი. სოფ. დაგვას ლელობურთ. გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ე. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲡᲘ.

რესპუბლიკური ჩემპიონატი აკრობატიკაში

სოხუმის „სპარტაკის“ სპორტულ დარბაზში მოეწყო ბავშვთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა აკრობატიკაში. მონაწილეობდნენ თბილისის ორი, რუსთავის, ქუთაისის, აჭარისა და აფხაზეთის კოლექტივები.

მოხტუნაველებიდან ოსტატობის თანრიგით გამოდიოდა მხოლოდ ერთი სპორტსმენი — თბილისელი ნ. მახარაძე და მანაც ვერ გაამართლა მოლოდინი.

აღსანიშნავია თბილისის პირველი გუნდის წარმომადგენლის ო. გულუაშვილის წარმატება ხტომით ვარჯიშებში. მან 80 შესაძლებლიდან დააგროვა 72,65 ქულა და საქართველოს 1961 წლის ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზეა ა. ტოკარევი (რუსთავი) — 61,65 ქულა, მესამეზე — ქუთაისელი თ. ზვერავა — 58,8 ქულა.

გოგონათა შორის საუკეთესო იყო სოხუმელი ბ. პაპანდოპულო. მან 71,8 ქულა მოიპოვა ხტომით ვარჯიშებში. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ — თბილისის პირველი გუნდის წარმომადგენელი ლ. ანისიმოვა — 70,3 ქულა და რუსთავის გუნდის წევრი თ. ტოკარევა — 64,8 ქულა.

ვაჟთა წყვილებში ჩემპიონები გახდნენ რუსთავის გუნდის წარმომადგენლები ვ. მეტრეველი და ნ. კრასიკოვი — 104,9 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ თბილისის გუნდის წევრები დ. ზანდუკელი და თ. შარმანიშვილი — 103,7 ქულა.

ჯგუფურ ვარჯიშებში (სამეული) საუკეთესონი აღმოჩნდნენ თბილისის პირველი გუნდის წარმომადგენლები: ნ. ნუცუბიძე, ვ. გიორგობიანი და ა. თედეევი — 160,6 ქულა.

გუნდური ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 477,65 ქულით უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის პირველი გუნდი, 339,45 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდნენ რუსთავის აკრობატები, ხოლო ქუთაისელებმა დააგროვეს 206,55 ქულა და მესამე ადგილი მოიპოვეს.

მ. ჟელეზნაშვილი,

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

დროზე გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯი

„ლელოს“ მომდინარე წლის 17 მაისის ნომერში დაიბეჭდა ალ. კოკაიას წერილი „შევქმნათ ფილმი სპორტზე“. ავტორი მეტად კარგ და სასარგებლო საკითხს აყენებდა, რომელის პრაქტიკული გადაჭრა უსათუოდ შეუწყობდა ხელს ქართული კინოსურათების თემატიკის გამრავალფეროვნებას. სპორტზე ხომ თითქმის ჯერ არც ერთი ფილმი არ შეუქმნია ქართულ კინომრეწველობას.

ჩვენ გვეგონა, რომ ამ საკითხზე გაზეთი გამოაქვეყნებდა სათანადო კომპეტენტური ორგანოების გამოხმაურებას, მაგრამ ორი თვე გავიდა და არაფერი არ ისმის.

ალ. კოკაია მართალია როცა წერს, რომ ფეხბურთის გუნდის „დინამოს“ ჩახახვისა და ზრდის ისტორია ცოტა მასალას როდი იძლევა მაღალხარისხოვანი სპორტული ხასიათის კინოსურათის შესაქმნელად. საქართველოს ხომ მრავალი, მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენი ჰყავს. მათით ამაყობს ქართველი ხალხი. მაგრამ წლებს ხომ თავისი გააქვს. ამიტომ საჭიროა მათ სიცოცხლეშივე, მათი უშუალო მონაწილეობითა და კონსულტაციით შევქმნათ კინოფილმები ქართულ სპორტზე. ამაზე ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ ს. მთვარაძის გახმაურებული მოთხრობა „ფალავანი“ საკმაო მასალას აძლევს დანტერესებულ კინორეჟისორს საინტერესო ფილმის შესაქმნელად.

„მოდით, დროს ნუ ვკარგავთ, წლები მიდიან, თორემ შეიძლება შემდეგში დანანებით ვთქვათ — რატომ დროზე არ ვიფიქრეთ ამ საკითხზე“. — სწერს ავტორი დასასრულს.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამ ხანგაგს.

ბ. ბუაჩიძე, ა. ჩიქოვანი, თ. ბიბიკაშვილი, შ. კაპანაძე, ნ. ლლონტი — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ თანამშრომლები.

პირველი დღის შედეგები



სოხუმი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო რესპუბლიკური პირველობა ცურვაში. წინასწარი გაცურვების შემდეგ გამოვლინდნენ ფინალის მონაწილეები, რომელთა შორის გათამაშდა რესპუბლიკის ჩემპიონობა. ფინალური შეხვედრების პირველ დღეს გოგონათა შორის 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში აშკარა იყო თბილისელი ლ. ბერძენიშვილის უპირატესობა. ამაზე მეტყველებს მისი და სხვა პრეტენდენტების შედეგებს შორის არსებული სხვაობა. გამარჯვებულმა შეჯიბრება დაამთავრა 1.13,4-ში და დაამყარა გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდი. მეორე ადგილზე გამოსულმა მ. კახუაშვილმა კი აჩვენა 1.21,7.

ამავე დისტანციაზე, ამავე სტილით ცურვაში ჭაბუკთა შორის ს. კრასოვმა 0,4 წამით მიასწრო ფინიშზე მეორე ადგილზე გამოსულ გ. ვასილიდს (აფხაზეთი) — 1.10,9 წ. აჭარელმა ა. არტამონოვა ამავე შედეგით დაიკავა მესამე ადგილი.

საინტერესო და დაძაბული იყო ვაჟთა შეჯიბრება 100 მ ბრასის სტილით ცურვაში. სტარტიდან თითქმის ფინიშამდე ერთად მიცურავდნენ თბილისელები ვ. ჟუკოვი და ა. მარგიევი. უკანასკნელმა ერთხანს წინ გაჭრაც სცადა, მაგრამ ამაოდ. უკანასკნელ მეტრებზე მძლავრი ბიძგით წინ გავიდა ვ. ჟუკოვი და 0,2 წამით მიასწრო ფინიშზე უახლოეს კონკურენტს. ჟუკოვის შედეგია — 1.16,9 წ.

ქალთა შორის ამავე დისტანციაზე ბრასის სტილით ცურვაში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ჩემპიონობა წილად ხვდა დ. კონონენკოს — 1.29,2. ბ. კულჩიცკაია — 1.32,4 და ვ. ბაბუნკო — 1.33,5 დარჩნენ მომდევნო ადგილებზე.

პირველ დღეს კიდევ ორი გამარჯვებული გამოვლინდა, ამჯერად 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში. ქალთა [illegible] ე. [illegible]დიამ (თბილისი) სტარტზევე მოიგო დრო, მაღალი ტემპი შესთავაზა მოწინააღმდეგეებს, ბოლომდე შეინარჩუნა იგი და პირველმა დაამთავრა დისტანცია — 1.12,9 წ., რითაც 2,1 წამით მოუგო საკმაოდ ძლიერ კონკურენტს თანაგუნდელ ე. მაკეევას. რომელმაც თავის მხრივ უკან ჩამოიტოვა ა. სუდარიკოვა (აფხაზეთი).

ამაღელვებელი იყო ვაჟთა ფინალი. ე. კობეცკოიმ (აჭარა) და თბილისელ[illegible] [illegible]ეიუკოვმა და ე. ვოიტკევიჩმა ჯერ კიდევ წინასწარ გაცურვებში ცხადჰყვეს თავიანთი სიძლიერე და ახლა, ფინალში სწორედ მათ შორის უნდა გამოვლენილიყო რესპუბლიკის ჩემპიონი. აჭარის გუნდის წევრმა დისტანციაზე ყველაზე უკეთ გაანაწილა ძალები და გაიმარჯვა — 1.00,2, მეორე ადგილზეა ი. ბინიუკოვი, ვოიტკევიჩი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

შეჯიბრება გრძელდება.

ბ. ჯამენსკი,

სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: ვაჟები 100 მ თავისუფალი სტილით ცურვის სტარტზე.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

10-მეტრიან კოშკზე

10-მეტრიან კოშკზე მდგარმა ბრინჯაოსფერმა სხეულმა ჰაერში წრე მოხაზა და უხმაუროდ ჩაეშვა წყალში. გაისმა მოწონების ძახილი და ტაშის ხმა... ქუჩიდან, ჯებირზე გადმოყუდებული მაყურებლებისაგან.

ეს არც საწვრთნელი მეცადინეობა იყო და არც კინოგადაღება. მიმდინარეობდა საქართველოს 1961 წლის პიროდ-გუნდური [illegible]ველობა წყალში ხტომაში, ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზის კარი კი დახშული იყო მაყურებლებისათვის.

ეს შეჯიბრება ერთობ არაორგანიზებულად მოეწყო. იგი თითქოს საიდუმლოდ, ვალის მოსახდელად ჩატარდა. ქალაქში არსად ყოფილა გამოკრული რაიმე აფიშა ამ რესპუბლიკური სპორტული ღონისძიების შესახებ. არასპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი მსაჯები საათობით იჯდნენ კოშკურებზე მცხუნვარე მზის ქვეშ (ქოლგების მიცემა მათთვის ზედმეტ ფუფუნებად აქვთ წარმოდგენილი შეჯიბრების ორგანიზატორებს) და შემთხვევით მოხვედრილი ჰირებივით აფასებდნენ სპორტსმენთა ნახტომებს.

მსაჯთა ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სპორტსმენთადმი პირველი არაა. აღნიშნულ შეჯიბრებაზე შესრულდა I თანრიგის ნორმატივები, ხოლო 10-მეტრიანი კოშკიდან მოხტუნავე ერთადერთმა ქალმა ოტკაჩენკომ (აფხაზეთი) ოსტატის ქულაც მიიღო — 93,62, მაგრამ ვის ჰირდება ასე შესრულებული თანრიგი? ტკაჩენკოს უკანასკნელი ნახტომი, რომელიც 2 ქულად იყო შესრულებული (ასევე ჩაწერა წიგნაში თავისი მოწაფის შედეგი მწვრთნელმა გ. გასპარიანმაც), მსაჯებმა შემდეგნაირად შეაფასეს: 5,5; 2,5; 6; 6, 4. მსაჯთა „ერთსულოვნებაზე“ ლაპარაკიც ზედმეტი.

საიდუმლოდ ჩატარებული შეჯიბრება

საილუსტრაციოდ შ. გლუხუდაშვილის მსაჯობას მოვიყვანთ. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომის დროს სპორტის ოსტატ ტ. ინწკირველის ნახტომი ყველა მსაჯის მიერ შეფასებული იქნა 7-დან 8 ქულამდე, გლუხუდაშვილმა კი მოძრაობა 6 ქულად შეაფასა, მაგრამ საკმარისი იყო მისი მოწაფე ნ. ჭილაძე მსაჯებს 4-დან 5 ქულამდე შეეფასებინათ, რომ მის ტაბლოზე მაქსიმუმი გამოსახულიყო — 6.

თვით გუნდების მომზადებაზე რომ ვიმსჯელოთ, საკმარისია გადავხედოთ უბრალო არითმეტიკულ მონაცემებს: თბილისის გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი 1177,36 ქულით, ხოლო მეორე ადგილზე გამოსულ აჭარის კოლექტივს მისი ნახევარიც [illegible] [illegible] [illegible].31. ქუთაისის გუნდმა მოაგროვა სულ 162,92 ქულა (მეოთხე ადგილი).

მოზარდთა შორის 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვეს შესაბამისად ა. როდიონოვამ და ვ. მიხინმა (ორივე თბილისიდან), 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში წინ იყვნენ ე. მიხინი და ა. კალიაგინი.

ქალთა ხტომები 3-მეტრიანი ტრამპლინიდან აფხაზეთის წარმომადგენლის დ. კინწურაშვილის გამარჯვებით დამთავრდა — 125,62 ქულა, ვაჟთა შორის უძლიერესი იყო თბილისელი ი. გუტიაკულოვი — 138,83 ქულა.

10-მეტრიანი კოშკიდან სტომაში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა თბილისელმა თ. მირზოევმა, რომელმაც 149,99 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი ბ. პლევაკო—143,52 ქულა.

ლ. ჩარჩიანი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე,

გ. სამსონაძე.

ავსტრალიელებმა დაკარგეს რეკორდები

ბლეკპულში გაიმართა გდრ-სა და ინგლისის მოცურავეთა საერთაშორისო შეხვედრა. შეჯიბრებაზე ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს გერმანელმა მოცურავე ქალებმა. რომის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორმა ბ. გებელმა 100 იარდზე ბრასის სტილით ცურვაში აჩვენა 1.19,5 წამი და 1,7 წამით გააუმჯობესა ავსტრალიელი რ. ლესგის მიერ იანვარში დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

გდრ-ს გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ი. შმიდტი, ბ. გებელი, ბ. ფურმანი და ჰ. ჰეხტეინი, ესტაფეტაში 4×110 იარდზე აჩვენა 4.50,1 წამი, რაც 0,1 წამით უკეთესია ავსტრალიელ სპორტსმენთა ძველ მსოფლიო რეკორდზე.

მოზარდთა საკავშირო

ყუბა. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს „ბ“ და „გ“ კლასების კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება ფეხბურთში X ზონის გუნდებს შორის.

ხუთი ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობენ თბილისის ნორჩი დინამოელები, რომლებსაც 9 ქულა აქვთ. თბილისელებმა დაამარცხეს მახაჩყალის „დინამო“— 10:1, ასტრახანის „ვოლგარი“ — 3:0, თბილისის „ლოკომოტივი“ — 2:1 და სუმგაითის „ტემპი“ — 1:0.

ფრედ დამთავრდა მათი შეხვედრა კიროვაბადის „ტექსტილშჩიკთან“ — 0:0.

მეორე ადგილზე არიან კიროვაბადის „ტექსტილშჩიკის“ ფეხბურთელები, რომლებსაც 7 ქულა აქვთ 4 თამაშის შემდეგ, ე. ი. დაკარგული ქულების მიხედვით თბილისელებსა და კიროვაბადელებს ერთნაირი მდგომარეობა აქვთ და თუ მათ ყველა დარჩენილი შეხვედრა მოიგეს, პირველი ადგილის საკითხს გადაწყვეტს უკეთესი მაჩვენებელი ნორმატივების ჩაბარებაში. აქ კი წინაა „ტექსტილშჩიკი“. საერთოდ კი ნორმატივებში პირველ ადგილზეა რუსთავის „მეტალურგი“.

ა. შირიაევი,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

იტალიის ყოველთვიურმა ჟურნალმა „ტენისმა“ ამას წინათ ორი გვერდი მიუძღვნა საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელებს, მათი თამაშის სტილსა და უკანასკნელ წლებში მოპოვებულ წარმატებებს.

აღნიშნულ გვერდებზე თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი სპორტსმენების ი. რიაზანოვასა და ნ. მძინარიშვილის თამაშის კლასს.

ეს ორი ყოველდღიურად მზარდი სპორტსმენი თავისი აგრესიული და ნაირფეროვანი თამაშის გამო შეფასებულნი არიან საერთაშორისო სარბიელზე დიდი მომავლის მქონე ჩოგბურთელებად.

* * *

სურათზე: ჟურნალ „ტენისში“ გამოქვეყნებული გვერდების რეპროდუქციები.

ITALIELTA ახალი ამოცანის წინაშე

კარგა ხნის დაკის შემდეგ იტალიისა და ისრაელის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩების თარიღის შესახებ. პირველი მატჩი გაიმართება ტელ-ავივში 15 ოქტომბერს, ხოლო სასპასუხო შეხვედრა — 4 ან 5 ნოემბერს იტალიის ერთ-ერთ ქალაქში.

იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელი ფერარი ამ მატჩების წინ საგანგებოდ არჩევს მოთამაშეებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წამყვანი კლუბების ხელმძღვანელებთან ურთიერთობის მოგვარებას. კლუბები არწმუნებიან, რომ დაბრკოლებას აღარ შეუქმნიან ნაკრების მწვრთნელს. ფერარიმ იცარგებლა იმით, რომ ზაფხულში ფეხბურთელები ნაკლებად დატვირთული არიან და მოაწყო საწვრთნელი შეკრებები. ახალი მოთამაშეებიდან დიდ იმედებს იძლევიან „იუვენტუსის“ მარჯვენა გარემარბი მორა და „სამპდორიას“ ფორვარდი ბრაჯენტი.

მოეწყო საწვრთნელი შეხვედრა „იუვენტუსსა“ და „ინტერნაციონალს“ შორის ნაკრების წევრების ფორმის შემოწმების მიზნით. უკანასკნელი ანგარიშით — 9:1 გამარჯვა „იუვენტუსმა“, რომლის თავდასხმის ლიდერი სივორი საუცხო ფორმაშია, იგივე ითქმის ჭაბუკი ცენტრფორვარდის ნიკოლეს შესახებაც.

მსოფლიოს ყოფილმა ორგზის ჩემპიონმა — იტალიის გუნდმა ძალზე სუსტად ითამაშა 1954 წელს შვეიცარიაში, ხოლო 1958 წელს ფინალშიც ვერ მოხვდა. როგორც მიმომხილველებს მიაჩნიათ, ამჯერად მდგომარეობა შეიცვალა იტალიელთა სასარგებლოდ; მათ არავითარი საფრთხე არ მოელით ისრაელის გუნდის მხრივ და ჩილეში შეუძლიათ იბრძოლონ საპატიო ადგილისათვის.



მატჩი ავსტრიელებთან

4 სექტემბერს მოსკოვში ითამაშებს ავსტრიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები, რომელმაც ერთი წლის მანძილზე განსაცვიფრებელ სპორტულ წარმატებებს მიაღწია: (ნორვეგიასთან — 2:1, შოტლანდიასთან — 4:1, სსრ კავშირთან — 3:1, ესპანეთთან—3:0, იტალიასთან — 2:1, შვეიცარიასთან — 5:0, ინგლისთან — 3:1, უნგრეთთან — 2:1. ასეთი წარმატებები უკანასკნელი წლის მანძილზე არც ერთ გუნდს არა ჰქონია.

ავსტრიელთა გუნდის შემადგენლობაში მიმომხილველები გამოყოფენ გუნდის კაპიტანს, ვირტუოზული ტექნიკის მქონე ჰანაპის (№ 6), თავდასხმის დირიჟორს ჰოფს (№ 8), ათლეტური აღნაგობის თავდამსხმელებს ნემეცს (№ 7), ბუცეკსა (№ 9) და ზენეკოვიჩს (№ 10). გუნდის მწვრთნელი კარლ დეკერი ომამდე ექსტრა-კლასის ფეხბურთელი იყო და თამაშობდა ცნობილ „ვუნდერტიმში“. დღეს კ. დეკერი ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტია.

„დუკლას“ პირველი სტარტი

როგორც ვიუწყებოდით, ნიუიორკში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. პირველ ჯგუფში თამაშები უკვე დამთავრდა და ახლა დაიწყო შეჯიბრება მეორე ჯგუფში, რომლის დამთავრებისთანავე გამარჯვებული გუნდი გადამწყვეტ შეხვედრას გამართავს „ევერტონთან“ (ინგლისი), რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა პირველ ჯგუფში.

საუკეთესო სტარტი აღმოჩენილია ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა „დუკლამ“, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ბირთვს წარმოადგენს. ჩეხებმა პირველივე დღეს გამანადგურებელი დამარცხება მიაყენეს ისრაელის „პეტაჰ ტიკავას“—7:1, მეორე დღეს „დუკლამ“ მოუგო ავსტრიის არაერთგზის ჩემპიონს და თასის მფლობელს „რაპიდს“ — 6:0, ამგვარად, „დუკლა“ 4 ქულით და ბურთების შეფარდებით — 13:1 მტკიცედ ლიდერობს შეჯიბრებას.

ისევ ლ. ბაროტი

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა საკითხი ეროვნულ ნაკრებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე მთავარი მწვრთნელის ლ. ბაროტის განცხადება. მან შემდეგ, რაც ავსტრიელებმა ბუდაპეშტში მოულოდნელი დამარცხება მიაყენეს უნგრეთის ნაკრებს (2:1), ხოლო მატჩი უელსის გუნდთან უნგრელთა ძნელი გამარჯვებით დასრულდა (3:2), ლ. ბაროტიმ კიდევ ერთხელ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ.

როგორც მიმომხილველები იუწყებიან, ლ. ბაროტის დაჟინებითი ცდები გადადგომის შესახებ გამოწვეულია ზოგიერთ „ვარსკვლავებზე“ მისი იმედების გაცრუებით. კერძოდ, მიუთითებენ ალბერტზე (№ 9), რომელიც საოცრად ინერტული გახდა და აშკარად ცუდად თამაშობს. ბაროტი უკმაყოფილოა დაცვის თამაშითაც. ხოლო მეკარე გროშიჩი უკვე 36 წლისაა.

უნგრელთა გამგზავრება ჩილში, რა თქმა უნდა, გარანტირებულია, მაგრამ სპეციალისტები აკრიტიკებენ გუნდს, რომელსაც მათი აზრით, თვალსაჩინო ხარვეზები გაჩნია.

„ეს იყო შესანიშნავი მატჩი“

სსრ კავშირ-აზშ-ს მძლეოსანთა მატჩმა, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში მოეწყო, მსოფლიოს სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მსოფლიოს ქვეყნების გაზეთების სპორტული მიმომხილველები ჯერ კიდევ ამ ორი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა შეხვედრის დაწყებამდე წინასწარმეტყველებდნენ მონაწილეთა მაღალ შედეგებს, მაგრამ გამარჯვებული გუნდის დასახელებაში თავს იკავებდნენ.

სამაგიეროდ, გამარჯვებულის გამოვლენების მხრივ ძალზე ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი ამერიკელი გაზეთების კორესპონდენტები. ემყარებოდნენ რა ამ ქვეყნის მძლეოსნების სპორტის მესვეურთა მტკიცებას, რომ აზშ-ს ამჟამად სსრ კავშირში გამოჰყავს გუნდი, რომელიც რომის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე კოლექტივებზე ძლიერია, სპორტული მიმომხილველები გამარჯვებას, რასაკვირველია, თავიანთ სპორტსმენებს უწინასწარმეტყველებდნენ.

მაგრამ ჩვენმა მძლეოსნებმა შესანიშნავი ოსტატობა გამოავლინეს და მოიგეს მატჩი, რომლის შედეგი მკითხველებისათვის უკვე ცნობილია.

„გიგანტთა მატჩის“ პროგრამის პირველ ნომრად მაყურებლები და ჩამოსული სტუმრები ვ. ბრუმელისა და ჯ. თომასის ორთაბრძოლას თვლიდნენ. მსოფლიოს ექსჩემპიონის განცხადება, რომ იგი მზადაა რეკანშისათვის, ამ ინტერესს უფრო აღვივებდა, მაგრამ რეკანში არ შედგა და საბჭოთა სიმაღლეზე მხტომელმა არა მარტო დაჯაბნა ძლიერი მეტოქე, არამედ ერთი სანტიმეტრით მაღლა ასწია მსოფლიო რეკორდის თაღი. ამერიკულმა გაზეთმა „ნიუიორკ ტაიმსმა“ ამ ფენომენალური შედეგის შესახებ განაცხადა — „ვ. ბრუმელის სიმაღლის დაძლევის ზღვარი ცაა“! ამ მატჩს დიდ შეფასებას აძლევენ ამ ქვეყნის სხვა გაზეთების სპორტული მიმომხილველებიც. „ეს იყო შესანიშნავი მატჩი, რომელშაც გვიჩვენა ამ ორი ქვეყნის სპორტსმენთა არა მარტო მაღალი ოსტატობა, არამედ მათ შორის მეგობრობის შესანიშნავი მაგალითი“.

დასავლეთგერმანული გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ სსრ კავშირ-აშშ-ს მძლეოსანთა მატჩის დიდ მნიშვნელობას და სწერენ, რომ საერთაშორისო მასშტაბის არც ერთ შეჯიბრებაზე ამდენი მსოფლიო და ევროპის რეკორდი არ დამყარებულაო.

სტუმრებს ელიან ბაღრინოში

ბუნებრივი ბაღჩების მხიარულმა სიცილ-კისკისმა გაავსო თელავის ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბაზა (დირექტორი ე. გეგეჭკორი). სეზონი დიდი ხანი არაა, რაც გაიხსნა, სტუმრები კი ბევრი მოვიდნენ. ტურისტულ ბაზაში 4 დღეს დარჩნენ სიღნაღელი მოსწავლეები, რომლებმაც დიდი ინტერესით დაათვალიერეს რაიონის ღირსშესანიშნაობანი — ათასწლოვანი ჭადარი, იყალთოს აკადემია, ალავერდის ტაძარი, ნადიკვარი, თელავის აბრეშუმის ფაფსახვევი ფაბრიკა და სხვ.

ნორჩმა ტურისტებმა მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა მთა ცივზე და შუამთაში. ამ დღეებში ტურისტული ბაზა მიიღებს ნორჩ ტურისტებს დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკიდან.

ს. შეშაბერიძე

ტურისტული ლაშქრობა

მეორე სვირის საშუალო სკოლამ მოაწყო ექვსდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით მეორე სვირი-ძევრი-ტყიბული-ამბროლაური-ონი-შოვი.

ტურისტული ლაშქრობის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს, აღწერეს და შეისწავლეს მარშრუტის ტრასაზე მდებარე ისტორიული ნაგებობანი, ღირსშესანიშნავი ადგილები, შეაგროვეს ჰერბარიუმები. ტურისტული ლაშქრობის მონაწილეებმა ფეხით 180-ზე მეტი კილომეტრი გაიარეს, გადალახეს რამდენიმე მთა, მდინარე და ხევი.

სკოლას განზრახული აქვს ახალ სასწავლო წელს ლაშქრობა მოაწყოს სვანეთშიც.

ს. ტალახაძე

რედაქტორი ი. უგულავა.

19 ივლისს
„ბურევესტნიკის“ სტადიონი

სსრ კავშირის
პირველობა
„დინამო“ (თბილისი) — სკა (როსტოვი)
დასაწყისი 18 ს. 30 წ.



20 ივლისი
პროფესიონალ
ჩოგბურთელთა
გამოცდა
მსოფლიოს ექს-ჩემპიონ
ჯეკ კრამერის
(აშშ)
მონაწილეობით
დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლ ლ“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01075